იმერეთი

ფასი: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 8 ან. ცალკე ნომერი ერთი შაური.
წლიური ხელის მოწერლებს გახეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. სახვადასახეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 ანაბი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კეთილსის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამკლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სიღრმის 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

პარასკევი 20 ივნისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზეთის „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფორადოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელაისა.

ტელეფონი № 4.

№ 84 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 84

ქუთაისის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“

ახალს რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	3 ანაბი.
და ცალკე ნომრის	1 შაური.

გაზეთის წლიური დასაკეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. სახვადასახეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. ½ წ.—8 მ., თვიურათ 6 ანაბი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წევრსაცავ-სამკითხველოებს გაზთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 ანაბეთ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაუკვეთლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წერილში წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა ვისრულებს.

პატივცემული მეგობრები და ამხანაგები მწუხარებით აუწყებენ პატიოსარს საზოგადოებას, რომ კვირას, 22 ივნისს, დანიშნული პანაშვიდი უდროოთ დაკარგულს

მელიტონ გობეჩიას

სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდი გადახდილ იქნება ადგილობრივ თეატრში შუადღის 12 საათზე.

ქ უ თ ა ი ს ი
პირველი პერმ. სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

პრივატ-დოცენტი ხარკოვის სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი ვ. პ. ჟოლუშევილი შინაგანი და ნერვების.

ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა.	1—2
გ. ს. ნადარაია.—შინაგანი და ბავშის	10—11
ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ ღღე	11—2
მ. დ. ბეთხოზი.—კანის, ათა შინაგ., ვენერ.	12—2
გ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	12½2

ს ა ღ ა მ ო თ.

გ. დ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით	4½—5½
გ. ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ.	5½—6/

სამკურნალოსთან მოწყობილია საავ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატორათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩება 10 შაური, ამპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დარეგისტრირებული—გ. ა. ჭოდოშვილი

ექიმის იგ. ბოკერიას

საავათმყოფო

გაღებულია ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მისეულის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასწორებულ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

სპეციალური წიგნის მაღაზია

კოსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და საღავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყიდს ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად საღავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

ОБЪЯВЛЕНІЕ.

Управл. Кут. Город. телефонной сѣти

симъ доводитъ до свѣдѣнія абонентовъ, что тѣмъ изъ нихъ, которые слѣдуемой платы за пользованіе городскимъ телефономъ въ теченіе I-го полугодія 1914 года не внесутъ въ Управленіе сѣти до конца сего Іюня мѣсяца, на основаніи 17 параграфа условій пользованія Кут. Город. телефонной сѣтью, телефоновъ сообщен е будетъ прекращено съ I-го Іюля сего года.

Завѣдывающій Кут. Город. телефон. сѣтью Г. Вешапидзе.

პარასკევს, 20 ივნისს, ქალაქის თეატრში გაიმართება ი. მჭედლიშვილის

სალიტერატურო სალამო.

„რადიუმი“

ხუთშაბათიდან, 19 საღამოდან, ახალი დიდი პროგრამა.

პატე ჟურნალი ქრონიკა ქვეყნისა

საუცხოვო დრამა! საუცხოვო სურათი! სილამაზის შედევრი! შედევრი კინემატოგრაფიული ხელოვნებისა!

უბედურ ბავშვს დროს ვსწირავთ მეგობრებს

ანუ

მანდილოსანი ბალეტიდან

საუცხოვო დრამა 4 განყ. მხატვრული ფერადებით, გასაცვირვებელი სილამაზისა. ჰოლონდია, სადაც სწარმოებს მოქმედება იძლევა მშვენიერ, მომხიბლველ სურათებს და აძლიერებს შთაბეჭდილებას.

ყმაწვილი ნაპოლეონის როლში

კომიკური სურათი.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ანანსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება ახალი სურათი „საიდუმლო ჯარისკაცისა“.

თუთხმეტ მაისიდან გაისხნა კურსების მაღნეული წელის ა ბ ა ნ ო.

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯავანძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საეენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანძისთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული ქ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე. და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს. გიმარია,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგვეს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატრონი გ. მ. არჯავანიძე.

სამკურნალო აბანო

ძმ. ჭოჭოლაძეების

სადგურ სრესილში (სურია ვოდა) ტფილისის რკინის-გზის შტოზე

ოქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით.

ეს წყალი, როგორც წამდვილათ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობისაგან, უმეტესათ კი: ქარების, (რევმატიზმის) თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიასაგან) და აგრეთვე აღორძინებს სისტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც, ხელმებული აბანო მდებარეობს ტყის ჩრდილოეთის ჩრდილოეთ ნაწილში, სადგურ ,,სერნია ვოდიდან“ ორ ვერსზე. აბანო არის სადგურზე დაშორებული 150 საჟენით, მისვლა-მოსვლა და ხაბაკის გადახდა ძლიერ იოლია, ვინაიდან ქუთაისიდან დღეში ორჯერ გადის და მოდის მატარებელი სადგურ ,,სერნია ვოდიდან“ აქვეა სუფთა ბინა და სასმელი-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ზომიერია. აბანო მუდმივ მუშაობს.

ექიმი ბ. ა. მირაქოვი დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

დილის 9 ს.—12 ს., საღ. 5—8. ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივნოვის ქუჩიდანაც № 18.

დოკტორი მედიცინის, პრივატ-დოცენტი გ. ნ. მაღ სეშვილი ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 9 საათ.—ნაშუადღევის 2 საათამდი.

გოშაბოლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის ექიმი ვ. ი. კაკაბელაშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანაობა (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეთი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ჭარავლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ექიმი ა. მ. ასათიანი ღებულობს ავათმყოფებს. ქალის, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

ექიმი ი. ჩარქვიანი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: კაკარინის ქუჩა, პოდგაიცის გვერდით, ფორადოვის სახლში. თ.

ქ. ქუთაისში
კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების კეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბაღახანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ჯგუფი სტუდენტ სპეციალისტებისა უსწორებს გაკვეთილებს და ამზადებს მოწაფეებს ყველა საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი: ქარავსლის ქუჩა ჩარქოვის სახლი № 13.

საღეთო სკოლის ძასწავლებელთა

საყურადღებოთ

ქუთაისში, გ. გალუსტოვისა და ძმათა ოცხელების წიგნის მაღაზიებში, იყიდება ქართული საღეთო სჯულის წიგნი სამი წლის კურსით, შედგენილი ღვდ. ამბითარ იაკობიშვილისაგან. წიგნში მოთხრობები სიმეოლო სარწმუნოებისა და ღვთის შესახებ მეიდრულათ არის დასურათებული (130 სურათით); არის დაწერილი მომეტებული მარტივი ენით და მრავალი კითხვებით, რითაც თვით წიგნი იზიდავს მოწაფეთ და ძრიელ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე. წიგნი ღირს 2 ანაბათ. ვინც 10 ცალზე მეტს იყიდის, მათ 32 კ. დაეთმობათ. ეურჩევთ ყველას, ისარგებლონ ამ მშვენიერი სახელმძღვანელოთი.

შემთხვევით

იყიდება

ხელმისაწვდომ ფასში საბაკალიონო დუქანი მთელი მოწყობილობით

ადრესი: სტანცია ,,ძმობა“ ბუშკანის ქუჩა, გოგელიანის სახლი იაკობ ანთაძის ქონებაში.

მწუხარებით ატყობინებ ქვრივი ალექსანდრა ხაინდრავასი ქალაქის ასული, ყარამანი გიორგის ძე და სოლომონი ქაიხოსროს ძე ხაინდრავები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველის უსაყვარლესის მეუღლისა, მეორესი ძმისწულისა და მესამესი ძმისა

ბეგლარ ქაიხოსროს ძის ხაინდრავასი.

გვამის გამოსვენება 22 ამ თვეს, საღამოს (ს. ლეხაინდრავა საკუთარი სახლი). დაკრძალვა იმავე საღამოს ღეხაინდრავის მაცხოვრის სასაფლაოზე.

ჩვენი ჰრესა.

„სახალხო ფურცლის“ მეთექვსმეტე ნუმერში ბ-ნი გერონტი ქიქოძე ეხება რა „ეროვნულ ენერგიას“, სხვათა შორის, სწერს:

„ევროპის სოციალიზმი ორგანიული ნაყოფია განვითარებული კაპიტალისტური კულტურისა იქ სოციალისტური პარტია თავის თავს იმ მატერიალური და იდეური სიმდიდრის მემკვიდრეთ სთვლის, ეროვნულმა ენერგიამ რომ შექმნა.

საქართველოში კი კაპიტალიზმი ჯერ ნორჩი და უსუსურია, ეროვნული ენერგია გაუშლელი. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიძლიერე ჯერ დაუმუშავებელია, მისი ფარული ძალები ამოუძრავებელი.

ამ გარემოებას ვერ ამჩნევს მესამე დასი. მას გულუბრყვილოთ სწამს, რომ ერთს მშვენიერ დღეს ნანატრი წუთი დაკრავს და საქართველო ლაღათ შეამკვრებს ფეხს სხვების მიერ შექმნილს სოციალისტურს სამოთხეში.

ასეთი რწმენა არა მარტო სრულიად უსაფუძვლო, არამედ ძლიერ მავნებელიცაა. ამხვრება ფილანტროპიული დაწესებულება როდისაც: ის არც სანატორიუმია სისხლნაკლებთა და ნევრასთაწლილთათვის. ამხვრება დიდი დრამაც, ტრაგიკურ ძალთა შეტაკება და დრამაში მხოლოდ იმას აქვს ადგილი, ვინც მეტად მზათაა თავდასვისა და ბრძოლისთვის.

ქართველმა ერმა თვით უნდა გასჭედოს თავისი ბედი. მან უნდა აამაძროს მატერიალური, საწარმოო ძალები, მან საძირკველი უნდა ჩაუყაროს თანამედროვე მეურნეობას და ინდუსტრიას, გასწვრთნოს თავისი ენა უცხო ელემენტებისგან, შეჰქმნას ახალი მწერლობა და ხელოვნება. უამისოდ მას ადგილი არ აქვს თანამედროვე ერთა დიდს კულტურულ ოჯახში.

თანამედროვე საქართველომ უნდა შეიგნოს ის გარემოება, რომ ყველაზე დიდი ნაკლი ეროვნებისთვის უენერგიობა და უნაყოფობაა და რომ ამ ნაკლს ვერასოდეს ვერ დაფარავს უმპერმატყვილესი კოსმოპოლიტიკური ფრაზეოლოგია. ყველაზე მეტად ეს შეგნება მესამე დასს აკლია. მართალია, მან ძალაუნებურად ხელი შეუწყო ჩვენი ეროვნული ენერგიის ზრდას, ისიც უმსოებელია, რომ მან ჩვენი ხალხის დემოკრატიულ წრეებში დისციპლინა და წესრიგი შეიტანა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მესამე დასის რაზმები პარტიული რაზმებია, მისი დისციპლინა პარტიული დისციპლინაა, მის მიერ შექმნილი ენერგია კი ან ყალბათ გაგებული ინტერნაციონალური მიზნებისთვის იხარჯება, ან კიდევ სქოლასტიურ დისპუტებსა და წვრილმან კინკლაობას უნდება.

ჩვენ კი დღეს ეროვნული რაზმები გვჭირდა, ეროვნული დისციპლინის გამომუშავება და ეროვნული ენერგიის გაშლა. ჩვენ დღეს ისეთი ადამიანი გვჭირდა, ერთ ამერიკულს ანდაზაში, რომ გვხდება: „მამაკაცი, რომელიც ოსტას ლაპარაკობს და რომელსაც ხელში კარგი ჯოხი უპირავს“.

ქუთაისი.

ახალი ამბავი.

ქუთაისის ვიცეგუბერნატორი ბ-ნი მაკაროვი გადაიყვანეს ქ. ბაქოს ვიცეგუბერნატორათ, ხოლო ქუთაისის ვიცეგუბერნატორათ სოხუმის ოლქის უფროსი ბ. ვენტცელი დაინიშნა. მაკაროვი გუშინ ბაქოში კიდეც გემგზავრა.

◆ ხვალ, 21 ივნისს, ქალაქის თეატრში გაიმართება მსახიობ ალ. მგალობლიშვილის შეთაურობით სერვანტესის საღამო. წარმოადგენენ პირველათ ქართულ სცენაზე რამდენიმე ადგილს „დონ-ჯიოდიდან“.

◆ ქუთაისის ბაზარზე ამ ჟამათ აუარებელი აბრეშუმის პარკი შემოდის. ყოველდღე 500 ფუთამდი გადის. ყველაზე კარგი ღირსების არის „ბრისტედულიდის“ თესლის პარკი. 19 ივნისს სასწორზე პირველი ხარისხის პარკი ფასობდა 20 მანეთად და 3 აბაზათ. მეორესი — 19 მანეთად და 4 აბაზ. მესამესი კი — 19 მანეთად.

◆ როგორც საზღვარგარეთიდან ქ. მარსელიდან ცნობა მოგვდის, აბრეშუმის პარკის ფასი 67 მანეთი ყოფილა, ფასი კიდევ მატულობს. ქალ. ნუხაში პარკის ფასი 22 მანეთია.

◆ დ. სამტრედიაში ფუთი პარკი პირველი ხარისხის 20 მან., ჭ 2 აბ., მეორესი 19 მან. და 3 აბ. და მესამესი კი 18 მან. და 4 აბ. დ. ხონში კი პარკის ფასი ქუთაისის პარკის ფასს უთანასწორდება.

გაზ. „აზრში“ მოთავსებული ცნობა, ვითომც ჩვენ მომავალ სეზონში დასი ნატიფი ხელოვნებისა ჩამოვიყვანეთ, სრული ტყუილია. ჩვენ ამ ზაფხულს ვერ ვიხილავთ ვერც ერთ ნამდვილ მსახიობს.

◆ ქუთაისის ქართული გიმნაზიის მზრუნველმა კომიტეტმა დაამტკიცა ახალი შტატები გიმნაზიისთვის იმგვარივე სახით, როგორც მთავრობის გიმნაზიაში არის მიღებული.

◆ მოვიგონებთ ქუთ. საზოგადოებას, რომ დღეს, ქალ. თეატრში ახალგაზდა მგოსანი ი. მჭედლიშვილი მართავს სალიტერატურო საღამოს.

იმედია, საზოგადოება საღამოს დაესწრება.

◆ მომავალ სეზონში დრ. ს. ბ. განზრახვა აქვს მოაწყვიოს ალექსი-მესხიშვილი. ამ ჟამათ მასთან მოლაპარაკებაა. უკვე მოწვეულია შემდეგი პირები: ქ.ქ. დავითაშვილი, მარო დიევანი, ტასო აბაშიძე, ჯავახიშვილი და სხ. ბ.ბ.: ვალ. გუნია, ი. ნიშნელი, მგალობლიშვილი, მურუსიძე, გელოვანი, ვასო ურუშაძე და სხვანი. ქუთ. დრ. საზოგადოების გამგეობას გადაწყვეტილი აქვს პირველი ივლისიდან შეუდგეს თეატრის ტეხნიკური მხარის გაუმჯობესებას და ახალი დეკორაციების დახატვას.

◆ 18 ივნისს ოლქის სასამართლომ გაარჩია დავით დვებუაძის, ივ. ლაზარიას, ე. ოკუჯავას, გეგეჭკორის, პეტრე კილასონიასი, ნაკუფიანების გრიგ. გეგეჭკორის საქმე. მათ ბრალდებულათ სოფ. კიწიაში (სენაკის მაზრა) გლეხ პეტრე კანკიაზე თავდასხმა და კანკიას პატარა შვილის დაჭრა. სასამართლომ დამნაშავეთ იცნო: დავით დვებუაძე, ლაზარია და გრ. გეგეჭკორი პირველ ორს ათ-ათი წლის კატორგა, ხოლო მესამეს 15 წ. კატორგა მიუსაჯა. სასამართლომ დანარჩენი გაამართლა. მათ იცავდა სამი ნაფიცი ვექილი. გამოწვეული იყო სულ 60 მოწმე.

◆ 24 ივნისს, ქუთ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში შესდგება მეორე საჯარო ვაჭრობა ქ. ქუთაისის მამულებისო.

◆ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღვარმა თავ. დ. ო. ნიკარაძემ ქ. სოხუმისა და სამურზაყანოს თავად-აზნაურობისაგან მილოცვის დებეში მიიღო, რომ ქუთაისში დაინიშნა კეთილი განზრახვებით აღჭურვილი ვიცეგუბერნატორი, სოხუმის ოლქის უფროსი ნიკოლოზ ედუარდის ძე ვენტცელი.

ერთ ტაფაში.

დასასრული იხ. „იმერეთი“.ს მე-80 №.

X.

გავიდა თუთხმეტი წელი. პატარა ღელეები გველის წიწილებივით იკლაკნებიან, ერთმანეთში იხლართებიან და მდინარეს ადგენენ.

მდინარის პირათ ფეხაკრეფით მიდიოდა ასიოდე ცხენოსანი. გზა შუა ტყეში იყო.

— საჩქაროთ უნდა მივუხტეთ გალავანს. კარებიდან ჩასვლა შეუძლებელია, სამი კიბე გვაქვს... —ამბობდა ჩუმად ახალგაზდა წინამძღოლი.

—მოკლე კიბეები, ბატონო!

— ოროლანი ცხენოსანნი დაიჭიროს ხელში და ჩვენ ავეკვეთით.

— ბატონმა გვიბძანა აქ დავუცადოთ...

— არა! ბატონს ციხის კლიტეები უნდა მივართვა...

— გაჩისხდება!

— ჩემს თავს იყოს!

ასე მიიპარებოდენ ცხენოსნები... არც აბგინდის, არც იარაღის წკრიალი არ ისმოდა. ნაწვიმარ გზაზე ცხენის ფეხის ხმაც იკარგებოდა. ლაფშერით მიდიოდენ; ყარაულმა დაიძახა. პასუხათ საშინელი მათრახების ტაკატაკუცი გისმა. ქაჯებივით მივარდენ ციხის გალავანს; ცხენები კედელს მიაყენეს; სამი კიბე მიადგეს; თითოროლ ცხენოსანს ეჭირა. აყვენ. პირველათ თვით ბელადი გადახტა. ჯერ ორი გადაყვა... მათ სხვები მიყვენ გაიკენ კოშკში... ხელჩართული ომი... ლეკურის ქნევა აღარ შეიძლება... ხანჯალი დასრიალებს... სისხლი... ყვირილი... ხროტინი... კოშკის კიბეზე ავარდა ყმაწვილი ბელადი...

ერთმანეთს შეხვდა მოხუცი რაინდი და პირტიტველა ბელადი.

ბელადი: დამწებდით... თქვენს ჰალარას ნუ შემარცხვენებთ.

ფრიდონი: მეფეს ბავშების მეტი აღარავინ დარჩა?

ბელადი: გაიოზის მოწინავე გახლავარ, ისიც აქ გარნდება, სადაც არის.

გაიოზი—აქ ვარ, შვილო!

ფრიდონმა წარსძღვა წინ ფეხი მარდათ ჩამოხსნა კედლიდან ხრმალი.

ყმაწვილმა ლეკურით მიმართა:

— ადგილიდან არ დაიძრე!

— შეჩერდი, ფარნა, მაგი მამაა შენი!..—დაუყვირა გაიოზმა.

ფრიდონ: რას ამბობ, გაიოზ!

გაიოზ: დიახ! ეს შენი შვილია: სულიერათ მე ვარ მაგის მამა. „ჩემს საქმეს მაგი განაგრძობს... ჩემი გადავეცი მაგას ყველაფერი... ცოდნა, ზნე-ჩვეულება, მეფის ერთგულება და ღვთის მსახურება... შეხედე პირადაც თუმცა იგი შენი სისხლი და ხორცია, მაგრამ მე უფრო მგავს, ვიდრე შენ... შენ წამართვი ხორცი, მე დამრჩა სული.

ოთხშაბი მხლებლებმა შემოიტანეს ქალის ცოცხალ-მკვდარი გვამი.

— ეს რა გიქნიათ, მიაძახეს ყველამ მსახურებს.

— ბატონო, თვითონ გადმოვარდა კოშკის სარკმელიდან.

გაიოზი მივარდა, დაიჩოქა!

— თეო, თეო, მოხედე შენი შვილი მოგიყვანე. მაპატიე, რომ უმისოთ დაგტანჯე, მაგრამ ვერ მოვითმინე... შენ მაგიერ მყავდა, შენ გგავს იგი—შეხედე მის თვალებს, თხელ ტუჩებს...

— შვილო!

— დედა!

დაჩოქილ გაიოზს ზურგში ვიღამაც ხანჯალი ჩასცა... იგი იყო ფრიდონი...

— შენც მოგკლეს ჩემთან ერთად. ესეც კარგია. იცოდე გაიოზ, თუმცა სხვა იყო ჩემი ქმარი, შენი ვიყავ მაინც; რაც ბავში წაიყვანე შენ, მერე ქმარი არც მინახავს... ჩემთვის ვიყავე ჩემს კოშკში მარტო და ვფიქრობდი მხოლოდ თქვენზე.

— ყველაფერი მოიმოქმედე ფრიდონ, თეო ჩემი მაინც...

* * *

მემატიანე ამბობს, შვილმა მამა საუკუნო სატყრობილეში ჩასვაო. ეს შეცდომაა; ფრიდონი არ ყოფილა ნამდვილი მამა ფარნასი...

თავადის ნაამბობი ბევრს მოეწონა. მართალია, ზოგმა სთქვა, ასეთი თქმულობა ხალხში არ არსებობსო, მაგრამ უმრავლესობას ეჭვიც არ შეპარვია, რომ თავადმა სხვა პირთ ჩააქსოვა თავისი გრძნობა და აზრი.

მხოლოდ ერთმა შენიშნა:

— Князь, какъ вы ни переадеваетесь, а васъ я узнаю.

თავადი შეცრთა. პასუხი არ მიუცია — ეტყობოდა ეშინოდა, ამ შენიშვნამ კამათი არ გამოიწვიოსო და იმდენი ჰქონდა ნასროლი სიტყვა, თუ არ განიმარტა და განმეორდა, დავიწყებული იქნებაო. თავადი იღიმებოდა, პასუხს არ გვაძლევდა კითხვებზე და მხოლოდ ხუმრობით გვეუბნებოდა:

— ამ სატუსაღოში მაინც მეღირსა ავტორობა. თქვენ იკამათეთ, მე კი მივწვები. და თავადი მიწვა. პაპიროსს მოუკიდა და ბოლს დაუწყო დაყვირებით მზერა.

— ოხ, რა ადრეა კიდევ! ზმორებით წამოიძახა ვიღამაც. რა გაათენებს?.. გვიმძიმეთ კიდევ!..

მივიხედ-მოვიხედეთ. უნებლიეთ ყველას თვალები ახალგაზდა ბელეტრისტზე შეჩერდა.

— კარგი, ბატონებო, არ გახვეწინებთ. ერთი ამბავი ჩამირჩა ჯიბეში დასაბეჭდათ გამზადებული და წაგიკითხავთ.

ყმაწვილი მაგიდას მიუჯდა და დაიწყო კითხვა:

სოფლათ.

როგორც წინაველიდან გვწერენ იქ. მდ. ყვირილაზე დიდიხანია ხიდი ჩანგრეული ყოფილა. ამ გარემოებას ყურადღებას არავინ აქცევს, როცა მთელი ბაღდადის მხარის გლეხებს ამ ხიდზე გამოუსელელობა არ ასცდება. აგერ აბრეშუმის პარკი შემოვიდა და მათ გზა დაკეტილი აქვთ. იქ მდინარეზე ყოფილა პატარა ბოროანი, რომელზეც მომუშავეს მთავრობიდან ჯამაგირი აქვს დანიშნული, მაგრამ ისინი საწყალ გლეხებს ტყავს აძრობენ და, ვინ იცის, კიდევ რამდენი ხნის ცდა სჭირდებათ. საჭირო არის ამ გარემოებას მთავრობამ ყურადღება მიაქციოს და ხიდიც დროზე შეაკეთოს. ხშირი შემთხვევა ყოფილა, რომ გლეხს მთელი ღამე ამ ხიდთან უთენებია.

სოფ. ზეინდარში ადგილობრივმა საკრედიტო ამხანაგობამ 13 ივნისს გლეხებს სიმინდის საყიდლათ სესხათ ფული დაურიგა. საწყალ გლეხებს ამით იმედი ეძლეოდათ, მაგრამ, საუბედუროთ, სოფლის სამართველოსთან მოვიდა ორი „სტრაჟნიკი“ და მამასახლისს უფროსისაგან მოწერილობა მოუტანეს, რომ გლეხებიდან ხარკი აეკრიფათ. წელს როგორი დამშეული არიან გლეხები ყველამ კარგათ იცის, დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა, მართალია, სესხი, კი დაარიგა, მაგრამ რა გამოვიდა თუ მეორე ხელიდან ეს სესხი ისევ გამოართვეს?!. საჭიროა შუამდგომლობის აღძრა მთავრობასთან წრეკანდელი გადასახადების შეჩერების შესახებ, ვინაიდან გაძვალტყავებულ ხალხს, ამ შიმშილობის დროს, არ ძალუძს ამ ხარკების გადახდა, ვიდრე მიწის მოსავალი მათ ხელს არ შეუწყობს. იმედია, დამხმარე კომიტეტი, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და შესაფერ შუამდგომლობას აღძრავს სათანადო მთავრობის წინაშე.

თფილისი

კახეთას რკინის გზაზე კვლავ გაცხარებული მუშაობა სწარმოებს. როგორც ვსწერდით, გურჯაანამდი რელსები ამას წინათ დაგვეს. გურჯაანიდან გაუხვიეს წნორის წყლისაკენ, საიდანაც რკინის გზა უნდა გავიდეს ბაქომდი. რელსები ბაკურციხემდი და კარდანახამდი უკვე დაგებულია. მას შემდეგ, როდესაც რელსებს წნორის წყლამდი დაგებენ, რელსების დაგებას შეუდგებიან გურჯაანიდან თელავამდი შუა კაკასიის რკინის გზის გაყვანას მოკლე ხანში შეუდგებიან, წნორის წყლამდი რელსების დაგების შემდეგ. შუა კაკასიის რკინის გზისთვის მასალას წნორის წყლის ჭაჭი შეიტანენ.

— **ტელეფონი თფილისსა და კუკიას შუა.** თფ. ქალაქის საბჭომ დაადგინა, მხარი დაუჭიროს კაკასიის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ თფილისსა და კაკასიას შუა ტელეფონი გაიყვანონ.

— **ამხანაგ კახეთში.** ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კახეთიდან შემდეგ აცნობებს ინსტრუქტორი ბ. ნახუცრიშვილი: „წვიმებმა თავი მოგვაბეზრა. მაისის განმავლობაში ერთი მზიანი დღეც არ იყო. თიბათვეც წვიმიანი, იყო სეტყვაც, რომელსაც საგრძნობი ზარალი არ მოუტანია ვენახისათვის მხრის არც ერთს სოფლისათვის, ამ ცოტა ხანში დაისეტყვა სოფ. ახმანი და რუისპირი. იყალთოსაც ოთხჯერ გაუარა თხელმა სეტყვამ. უამინდობა სოფლად მუშაობას დიდად აფერხებს. ავდრების გამო ნამყენ ვაზს მიწაში გაუჩნდა ერთგვარი მატელი, რომელსაც ადგილობრივ ჩირჩილს უწოდებენ. ეს მატლი, ძირება ნორჩს ყლორტში და სჭამს მის შუა გულს. ამ ადგილას ყლორტი იმტვრევა; ვაზს საბოლოოდ არ აფუჭებს, მაგრამ ავკიანებს მოწიად ამოსვლას; ამერიკულ ვაზს ეს მატლი არ ემჩნევა, ალბად, ამ ვაზის უგემური წვენია მიზეზი“.

მასწავლებლების თავისუფალი ადგილები. ქ. ზ. წ.-კ. გ. საზოგ. კავკასიის ქართულ სკოლაში თავისუფალია სკოლის გამგის და ორის მასწავლებლის ადგილი. საჭიროა ავრეთვე მასწავლებლები შროას (სილნაღის მაზრა) და ვარიანის (გორის მაზრა) სკოლებისთვის. თხოვნები უნდა გაიგზავნოს ქ. ზ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობის სახელზე (თფილისი, სასახლის ქ., 5).

— **ალაის შეგლა.** მამადავითის ეკლესიის კრებულმა ქ. ზ. წ. კ. გ. საზოგადოებას განცხადება წარუდგინა, რომლითაც საჭიროთ სთვლის ილიას ძეგლის არე-მარის მოსაწესრიგებლათ 200—300 მან. გადადებას. გამგეობამ დაადგინა, ეთხოვოს ინჟინრებს ს. გ. კლდიაშვილისა და ი. ს. ეაშვილს, დაათვალიერონ ილიას ძეგლი და შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა და პროეკტი ძეგლის გამაგრებისა.

— **არჩილ ჯორჯაძის მაწყარ-მაწყარასა და ათაბარაშვილის გამოცემა.** ქართველ სტუდენტთა ერთის ჯგუფის მინდობილობით რამდენიმე სტუდენტმა ქ. ზ. წ. კ. გ. ს. გამგეობას სთხოვა, ნება დართოს მათ, გამოსცენ ცალკე წივნად არჩილ ჯორჯაძის მიწერ-მოწერა და ათაბარაშვილისა.

ეუძღვნა ფერ-მკრთალ, ძლიერ ფერმკრთალ ხელებს, რომელნიც ენაზე უკეთ მეტყველებენ?

ეუძღვნა დიდ, ღრმა თვალებს, ძლიერ ღრმა, დიდ თვალებს, რომელნიც ალერსით უფრო სავსე არიან, ვიდრე ამბორი ანგელოზისა?

ვუძღვნა?

აი რას ამბობს მგოსანი:

„... მგოსნის წრფელ სიმღერას ქალის ნაზი სევდა ბურავს,
სულ ქალი სვამს ამ სიმღერას, სანამ მთლად არ ამოსწურავს;
ამოაშრობს გრძნობიერ გულს, საუკუნოთ მოსწყინებულება,
სიმებს დასწყვეტს საბრალო ქნარს, და ქალი კი ქალად რჩება!!..

და თუნდაც **„ამოშრობილი იყოს გული, ძნარის სიმები დაწყვეტილი იყოს“** მაინც ვუძღვნა??

ვუძღვნა!

დედ **,,დარჩეს იმავ ქალში ხანეტარო, საცნებო!“**

ვენერას პირველი ნაბიჯი.

– შეხედე, შეხედე მთვარეს, როგორ უფერულათ მიიზლაზნება.

—ასეთი მხოლოდ ჩვენში არის მთვარე. იგი სხივებს გვიგზავნის; ჩვენ კი აქიდან მწუხარებას ვაპკურებთ... და ვერ გაუძლო... ისიც დასევდიანდა.

— აქ მზე რომ არ ვარგა, მთვარე რაღა უნდა იყოს?!.. თუ სიცხე დადგა მტვერი ადგება; ისე კი სხივი არ ხვდება ნოტიო დაბურულ ტყეს... გორაკები გაცრცილია... კლდეები ნაცრის ფრად შემოგვკერთილა... და ეს განუწყვეტელი ზღვის ღრიალი...

— ყველგან ასეა, ყმაწვილებო, რათ გიკვირთ? გინახავთ ბედნიერება?

მიჰკრას მგრანი...
ნაპობი ჰაერი ფაფარს
სწეწს, ძუას შლის,
დგება კორიანტელი...
კაცსა ჰგონია მის სრბოლას ვერა დაეწევა რა...
მისკენაც ვრავლ. ნავი იალქან აშვებული...
გარბის ჰაბუკი, ვითა ისარი.
და ყველას ერთიანათ ყლაპავს, ვით გველეშაპი, მაწაზე უმიზნოთ და ზანტათ მოარული სევდა.
არ ჩქარობს იგი...
იცის, იცის, რომ თავის ქსელში გაახვევს და შეისვამს, შეისისხლხორცებს მიმქროლავ მე-

ჩემი პასუხი

სახალხო უნივერსიტეტის მესამე კურსის მოწაფეებს.

„არას მოგცემ, კიდევაც გცემო“,—სწორედ ჩემზე სრულდება ეს თქმულება!

გმადლობთ, ბატონებო, პატივისცემისათვის!

გთხოვთ მხოლოდ ერთი ფაქტიური შენიშვნა მაინც მიიღოთ ჩემგან.

მე არც „შემოვჭრილვარ“ თქვენ კურსებზე და არც „ულროლოდ წამოსხლტვარ“. ეს თქვენი ჩვეულებრივი სიყალბე და უსამართლობაა.

როდესაც გონს მოხვალთ, დაიწყებთ ნორმალურ, ადამიანურ აზროვნებას და „უძღები შვილივით“ დაუბრუნდებით თქვენ სამშობლო ქვეყნის საქმეებს, მაშინ, საცა თქვენი სტქვაო, იქ ჩემიც ნუ დაგავიწყდებათ. მანამდი კი თქვენ მართალი ბრძანდებით.

„ცეცხლ გმართებს გაძმწდელასა, როს ურჩს ხსნა ცეცხლ ზრდილთაო“, ნათქვამია, ალბათ ცუდი მასწავლებელი ვყოფილვარ, რომ ვერა შეგასმინეთ რა. მაგრამ მე როდისღა ვცემო იმათ, რომელთაც ჩემმდი ისე აგიროსთ გული, გონება, გზა და კვალი, რომ სიკეთესაც კი ვერ ხედავთ?

გთხოვთ გამომიგზავნოთ სია თქვენის გვარებისა, თუ თქვენი წერილიც რამდენიმე უზრდელ მოწაფესავან არ არის შეთხზული. მინდა ჩემ შვილებს არ დავუყარგო ამბავი ჩემი სიგლახისა და ნიშუში თქვენ უმადურობისა.

ია გეგლაძე.

„დაუჯერებელი ფაქტის“ გამო.

(პასუხად სერჯენკ ამხანაგებს).

„იმერეთის“ 81-ე ნუმერში მოთავსებული წერილი ღ. ახალ-სენაკიდან ამ სათაურით: „დაუჯერებელი ფაქტი“. წერილი ეხება იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიის მასწავლებელთა ამ ქამად ქუთაისში მოწვეულ კურსებს. წერილის ავტორები, როგორც მოსალოდნელი იყო, ძლიერ აუღელვებიათ მასწ. ქალის ან. გეგენავას საქციელს, რომელიც ვინმე Mori-ს გამოუქვეყნა „იმერეთის“ 76-ე ნუმერში.

მე პირადათ გამოვკითხე ქ-ნ გეგენავას, და მან „მუხჯური“ მეთოდი დაგმო, მაგრამ, რაც შეეხება მის მიერ „დაუფიქრებათ“ (როგორც თვითონ დავგარწმუნა) წამოსროლილ სიტყვებს—„სირცხვილო, თარგმნითი მეთოდს რათ მიმართეთო“, ამ სიტყვებს გეგენავა **არ უარყოფს**, ხოლო თავს იმით იმართლებს, რომ მან ეს სიტყვები წარმოსთქვა „между прочимъ“ (Sic!),—ე. ი. თითქოს მას არავითარი ფარული წინასწარი განზრახვა არა ქონოდეს,—და თანაც დასძინა: „მალე მე გადავსცემ სანიმუშო გაკვეთილს და მაშინ დავამტკიცებ, რომ მე „მუხჯური“ მეთოდს არ თანავუგრძნობ და Mori-სგ პასუხს შევძვგ გვსცემო“.

ან. გეგენავას მეც ისე, როგორც „სენაკელი“ ამხანაგები, ვიცნობ დაახლოებით, ვიცნობ როგორც მუშაკ მასწავლებელს,—და იმედია, იგი მოლოდინს არ გაგვიცრუებს და ადრე თუ გვიან „გვიპასუხებს“. და რაც უფრო ადრე, მით უკეთესი... და მით სამუდამოთ მოუღებ ბოლოს იმ **„ეშეკეშს“**, რომელიც გამოიწვია მისმა **დაუფიქრებელმა** (მისივე სიტყვით) სიტყვებმა და რომელმაც აგვაღელვა მისდამი ნდობით აღჭურვილნი მასწავლებლებ-ნაცნობნი.

სადმელაძე.

ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ.

ერთადერთი კულტურული დაწესებულება სოფ. ახალშენში (გურია) არის ერთკლასიანი სამრეკლო სკოლა, რომელიც გახსნილია ამ ხუთიოდე წლის წინათ.

ამ ხუთი წლის განმავლობაში ბევრი სხვადასხვა მასწავლებელი იხილა ამ სკოლამ, მაგრამ არც ერთი მათგანი წელიწადსაც არ იცდიდა იქ.

რა იყო მიზეზი? ნუთუ ასე ავი გაასძლისია ს. ახალშენში, რომ ვერავინ ვერ შეეგუა მას?

სრულიადაც არა. ადგილმდებარეობითი, ჰაერითა და კულტურულ ცენტრებთან სიახლოვით იგი არც ერთს გურიის სოფელს არ ჩამოუვარდება, ბავშვებიც სკოლაში ბლომათ არიან, მ ეამათ მხოლოდ პირველი განყოფილებაა გახსნილი და მოწაფეთა რიცხვი ორმოცდაათამდი ადის, სკოლის გარეშე კი, უადგილობის გამო, მეტიცაა დარჩენილი.

მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ მასწავლებლები, ეს ყოველი მხრიდან შეგიწროებული არსებანი, რაღაც მანქანებით, უჯამაგიროთ მსახურებენ აქ.

გასაკვირველია, ან გურია-სამეგრელოს სასწავლებელთა საეპარქიო საბჭო, ან ოზურგეთის განყოფილება, რატომ ყურადღებას არ მიაქცევენ ამ გარემოებას, არ უნიშნენ ჯამაგირს და ამ სოფელში მცხოვრებ ორმოცი მოსახლის ბავშვებს სწავლის საშუალებას არ აძლევენ!

შეიძლება, იყოს მაგალითი ორ წელიწადს კიდებიტის გაუხსნელობისა, მაგრამ ხუთ ან ათს წელიწადს განა შეიძლება მთავრობამ სკოლას ყურადღება არ მიაქციოს?

გაზ. „იმერეთის“ ხელის მომწერთა
საყურადღებოთ

რედაქცია სთხოვს გაზეთის ხელის მომწერთ გაზეთის ხვედრი ფული წარმოადგინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გაზეთის გაზავნა შევსწყვიტოთ.

ერთი წელიწადია აქ დანიშნეს ახალგაზრდა მასწავლებელი პ. კალანდაძე, რომელიც, შეძლებისადაგვარათ, ცდილობს წინ წასწიოს სასწავლებელი, მაგრამ თუ ჯამაგირის დანიშნას ვეღარ ეღირსა, ისიც იძულებული იქნება სხვაგან ეძიოს ადგილი.

საჭიროა ამ საქმეზე თვით ხალხმა აღძრას შუამდგომლობა და, თუ სასურველო მთავრობა არ დააკმაყოფილებს მას, ეს სკოლა დახურონ და გახსნან სამინისტრო სასწავლებელი, სადაც მასწავლებელს ჯამაგირი დანიშნებიდანვე ეძლევა.

კარგს იზამს მასწ. კალანდაძე თუ სკოლაში სწავლებასთან ერთად ხალხს მიაჩვევს კულტურულ საქმიანობას.

ამასწინათ მასწავლებელმა მოიწვია ორმაზი კოხტაები და გააშართვია მაგარი წარმოდგენა; ხალხი ბლომათ დაესწრო, რაც მომასწავებელია იმისა, რომ აჭაურებსაც დიდი სურვილი აქვთ საერთო სამზადისს შეუდგენ და მომავალს სულიერათ უფრო მოამზადებული შეხვდენ.

იმედია, ბ. კალანდაძე უჯამაგიროთ არ გაიტეხს გულს და წრფელად ემსახურება სახალხო განათლების დიად საქმეს, ახალშენელები კი ეცდებიან, რაც შეიძლება მალე დაენიშნოს ჯამაგირი მასწავლებელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასაც, გული გაუტყდება და იძულებული იქნება თავი დაანებოს სკოლას, როგორც ამას მისი წინამოადგილენი სჩადიოდნენ.

ნაკ.

რუსეთი.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

საეთნოგრაფიო სწავლა.

სახ. განათლების მინისტრმა ასომ ხელი მოაწერა საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღების წესების პროექტს. განმარტებითი „ბაპისკაში“ კასო ამბობს, რომ ამ ეამათ შესაღებელია შემოღებულ იქნას ზოგიერთი გუბერნიების ზოგიერთ მაზრებში საყოველთაო სავალდებულო სწავლა. შემუშავებულ წესებს საერთო ხასიათი აქვს და ძალა ექნება ყველგან, სადაც კი შემოღებული იქნება საყოველთაო სწავლება. (რ. ს.)

ᲔᲯᲔ. ᲙᲐᲠᲐᲣᲚᲝᲛᲝᲕᲘᲡ ᲙᲐᲡᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ.

დეპუტატმა კარაულოვმა ინახულა მინისტრი კასო და წარუდგინა მას მოხსენება „ბაპისკა“ მის მიერ მიღებულ შუამდგომლობათა შესახებ. სხვათა შორის, „ბაპისკაში“ იყო შუამდგომლობა ელადიკავკაზის მცხოვრების. ბელგიაში პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში კურსდასრულებულისა სამხედროფო ეგზამენებზე დაშვების შესახებ, რაზედაც მას უარი უთხრა წინათ სამინისტრომ. კასომ უთხრა დეპუტატს, რომ სამინისტრო ამგვარ თხოვნაზე უარს ეუბნება ყველასო და საჭიროა მოხოვნელმა ერთი წელიწადი მაინც დაჰყოს რუსეთის უნივერსიტეტშიო. კარაულოვმა უთხრა, რომ კანონი ნებას აძლევს სახელმწიფო ეგზამენების ჩაბარებისას იმათ, ვისაც რუსეთის უნივერსიტეტი არ დაუსრულებიათ. ამაზე კასომ უპასუხა: რომ ჩვენ ამ კანონით ვიხელმძღვანელოთ, მაშინ ვიღა შევა რუსეთის უნივერსიტეტშიო. (რ. ს.)

უცხოეთი.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

სენსაციური შეთხვა.

ბერლინის სამხედრო წრეებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის სახელმწიფოს არსებულ გერმანიის ციხე-სიმაგრეთა პლანების გაყიდვის ამბორჩნამ. დატუსაღეს ფელდფებელი და მოვაჭრე, რომელნიც ღალატში გამოტყდენ. შენიშნულია კიდეც რამდენიმე პირი. მოსალოდნელია, რომ ბევრს დატუსაღებენ. გენერალურმა შტაბმა ტორნში ოფიცერი გაგზავნა საქმის გამოსაძიებლათ. დაწერილებითი ცნობები ჯერ სრულიადაც არის დაცული, (რ. ს.)

ᲡᲔᲠᲑᲘᲐ-ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ.

ვენიდან ცნობაა: „სრბობრანმა“ სარწმუნო წყაროებიდან გაიგო შემდეგი: სერბიასა და ჩერნაგორიას შორის უნია შეიძლება დათავებულათ ჩაითვალოს: ორივე სახელმწიფოს ეყოლება საერთო ჯარი, ექნება ფინანსები, დამოკლა და საერთო კაბინეთი, რომელსაც სხდომები ბელგრადში ექნება და რომელიც დანიშნული იქნება ორივე სახელმწიფოს მიერ ერთმანეთთან შეთანხმებით: (რ. ს.)

ᲩᲐᲚᲐᲓᲘ ᲡᲐᲛᲫᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲕᲐ.

მასაჩუზეტსიდან იტყობინებიან: ცეცხლისაგან გადაურჩა ქალაქი სალემი. ცეცხლი პირველათ ფაბრიკაში გაჩნდა და რადგან ქარი ქროდა იგი მოედვა მთელს ქალაქს. 10 ათასამდი მცხოვრები უბინოთ დარჩა. ორმოცდაათი კაცი დაიღუპა. ცეცხლმა მოსპო აგრეთვე მუზეუმი და ბეგლები. ზარალი 40 მილიონამდი უდრის. ქ. სალემი დაარსეს ინგლისელმა პურიტანებმა 1626 წ.

ᲰᲔᲠᲪ ᲰᲔᲠᲪᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲙᲐᲚᲐ.

სარაევო. პირველი განსაცდელის შემდეგ მემკვიდრეს მეუღლით ხალხსა დიდი ოვაცია გაუმართა. ჰერც ჰერცოგი მეუღლით რატუშაში დღესასწაულის დროს აღელვებულნი იყვნენ, მაგრამ კარგ გუნებაზე: მეორე ბოროტმოქმედება მოხდა რატუშიდან მუზეუმისაკენ გამგზავრების დროს. ჰერც ჰერცოგის ავტომობილში მყოფი მეფის მოადგილე უვნებლად გადარჩა. სროლის შემდეგ მაშინვე კონაში ორი ექიმი იქნა გამოწვეული, რომელთა დახმარებაც საჭირო აღარ გამოდგა. დროებით მათი ცხედარი კონაკში ალმართეს. ქალაქში ყველგან სამგლოვიარო დროშებია გამოფენილი. ყუმბარით დაჭრილია 20 კაცამდი—დაჭრილთა შორის ქალებიც და ბავშვებიც.

რატუშიდან ჰერც ჰერცოგი საგარნიზონო საავთომყოფოში გაემგზავრა, სადაც ყუმბარით დაჭრილი ოფიცერი იყო წაყვანილი. ვიწრო ქუჩაში გაისმა სროლის ხმა. ტყვია ჰერც-ჰერცოგის მეუღლეს მოხვდა ძუძუს ქვეშ. მან მაშინვე გრძნობა დაჰკარგა. მეორე ტყვია ჰერცოგს კისერში მოხვდა. ჰერცოგი მაშინვე გადაიცვალა. ბოროტმოქმედება ისე სწრაფათ მოხდა, რომ ბევრს სროლის ხმა არც კი გაუგია.

ნაშუადღევს კრაევის სეიმის სავანგებო კრება შესდგა. პრეზიდენტმა გულისწყრომა გამოსთქვა ბოროტმოქმედების გამო. შესდგა ავტონეგე საზოგადოებრივ საპეს სამკლაურიარო სხდომა.

ჰერც-ჰერცოგ ფრანც ფერდინანდისა და მისი მეუღლის ჰერცოგინია გოგენბერგის გვამები შეჰშურეს, სახიდან გიპსის ნიღაბი გააკეთეს. კუბოები აუარებელი გვირგვინით შეამკეს. ქალაქსა და მის მიდამოებში სამხედრო წესები გამოაცხადეს. პირველი ბოროტმოქმედების შესახებ უკვე გამოკვეთილია, რომ ჰერცოგის ავტომობილს ტარიანი ყუმბარა ესროლეს, რომელმაც სუსტი ატეხა გამოიწვია. მას მოჰყვა მეორე, უფრო მძლავრი ატეხა, მაგრამ ამ დროს ამ ადგილს მეორე ავტომობილმა მიაღწია და იმაში მყოფნი დაიჭრნენ. მიუხედავათ მეფის მოადგილის გაფრთხილებისა, ჰერცჰერცოგმა კატეგორიული სურვილი გამოსთქვა დაჭრილი ოფიცრის მიერ ანის ნახვისა. ავტომობილის წინა საჯდომზე მეფის მოადგილე დაჯდა. ავტომობილის საფეხურზე კი გრაფ გარახი იდგა, რომელსაც სურდა დაეფარა ჰერცჰერცოგი შესაძლო ახალი ბოროტმოქმედებისაგან. ამის გამო ჰერცჰერცოგმა ხუმრობით მიმართა გრაფს. იმპერატორ ფრანც იოსების ქუჩაზე, სადაც ავტომობილმა სიარული შეაწყვეტინა და ძგერები. ზარალი 40 მილიონამდი უდრის. ქ. სალემი დაარსეს ინგლისელმა პურიტანებმა 1626 წ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
შაბაბანის სითხით

შეეცნახეთა საყურადღებოდ.
მიღებულია და იყიდება
უმაღლესი ხარისხის
ქლიერ ზოქიერ ფასად ნამდვილი ინგლისური ოაგისაბანი, 0.0
გოგირდის ფხვნილი, ქაკშენის სითხე.

ურახების საქმის მანქანები გერმორელისა და ბლატაცისა, გოგირდის საბერველები.
მახლანების ყოველგვარი რეზინებისა და სხვა მოწყობილობა.

დეპო ლამპეულის, ბურჯნელულობის, ავეჯულულობისა და ელექტრონის მოწყობ. ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მახაილოვის ქუჩა, ბილეთა ქ. ქუთაისში.

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ საღავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი სამკალი, ნავთისსამოგრები, ღუმელები (ფეჩები), იატაკზე საფენი ლინოლეუმები, განთქმული ლიპპიის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაულო და მრავალგვარი სამკალი ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგანი სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი. პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

დეპო ლამპეულის, ბურჯნელულობის, ავეჯულულობისა და შაალიერისა ქ. ქუთაისში. ფ. ს. ფილიპოვისა. ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ საღავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი სამკაულო სამკალი, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულო ღუმელები, იატაკზე საფენი ლინოლეუმები, განთქმული ლიპპიის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაულო და მრავალგვარი სამკალი ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

ეგონა, რომ ამ შემთხვევაშიც ყველაფერი მშვიდობიანათ გათავდა, რადგანაც ცოლ-ქმარი წუნარათ ისხდენ. კისერში დაჭრილი ფლიგელ ადიუტანტი მირიცის მდგომარეობა საშიში არარის. გრაფ ბოსეალდეკეს უმნიშვნელო ჭრილობები აქვს. ხალხიდან არავინ არ დაჭრილა.

15 ივნისს კროაციის შკოლების მოწყობებმა სერბიელების საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოახდინეს, მაგრამ ჯარის მოახლოების შემდეგ წესიერება აღდგენილი იქნა, დემონსტრანტები ჯარს ვაშას ძახილით მიეგება.

სერბიელების საწინააღმდეგო დემონსტრაციები თანდათან იზრდება. კროაციის ახალგაზრდობა, ჟურნალი ხალხით გარშემორტყმული ქუჩებში გაემართა, წინ ფრანც-იოსების ვეებერთელა სურათი მიჰქონდათ. ბრბომ ჩაამხურვია ფანჯრები სასტუმრო „ევროპისა“, სერბიის საკულტურო კავშირის, სერბიის შკოლებისა და სავაჭრო დაწესებულების ბინებში. პოლიციელებმა და სამხედრო პატრულებმა წესიერება აღადგინეს.

ორშაბათს 15 ივნისს საღამოთი სტუდენტების ჯგუფმა კროაციის დროშებითა და ბრბოთი გარს შემორტყმულმა დემონსტრაციით გაიარა ქუჩებში და ხოტბას ასხამდა განსვენებულ ჰერც-ჰერცოგს მეულით. ბრბომ ჩალეწა მინები სერბიის დაწესებულებათა სახლებისა.

გამოირკვა, რომ ტოპოგრაფ ცაბრინოვიჩის მიერ გადასროლილი ყუმბარა შინაურულადაა დამზადებული, და როგორც ჩანს, შესდგებოდა ლურსმნის, ქვების ნამტვრევებითა და ასაფეთქებელი მასალით გატენილი ბოთლისაგან. ამბობენ, რომ როდესაც ჰერც-ჰერცოგი ბოროტმოქმედების შემდეგ რატუშას მიუახლოვდა, ქალაქის მოურავს უთხრა: „სანაეციოს სტუმრათ ვეწვიეთ და ყუმბარებს კი გვესვრიანენ“. მეუღლე მას ამშვიდებდა. ქალაქის მოურავის სიტყვის შემდეგ ისინი ჩასხდნენ ავტომობილში და ლაზარეთისაკენ გაემართნენ. რადგანაც ხალხი გარეკეს გზებიდან, ჰერც ჰერცოგის სურვილისამებ, არავითარი დასაცავი სანგრებო ზომები არ ყოფილა მიღებული. ფრანც-იოსების ქუჩაზე სამი ახალგაზდა იდგა, რომელთაც გული ზერბიის ყვავილები ჰქონდათ, მათთან ქალები მიეგებენ, რომელთაც ორი-სამი სიტყვა უთხრეს ახალგაზდებს და შემდეგ ახლო-მახლო მდგომ ქალებს სთხოვეს იმ ადგილებს მოშორებოდენ, რადგან ახალგაზდები საეცვო შეხედულებისანი იყვნენ. ამ დროს ნელა შემოუხვია მემკვიდრის ავტომობილმა. როდესაც ავტომობილი ჯგუფს მიუახლოვდა, მოისმა ხროტი.

გავრილო პრინციპი, გაზეთების ცნობებით, უკანასკნელ დროს ბელგრადში სცხოვრობდა, სადაც ნაკადიც რამდენიმე კვირის წინათ დაბრუნდა. წინასწარ გამოძიების დროს მან განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია ავსტრიის იმპერიალიზმისა. მეორე ვერსიით მან განაცხადა, რომ მან შური იძია სერბიელების დევნისათვის.

შეიპყრეს რამდენიმე კაცი, რომელთაც ბოროტმოქმედებაში მონაწილეობას აბრალებენ. 16 ივნისს დღისით ორი ყუმბარა აფეთქეს, რომლითაც არავინ დაშავებულა. ბოროტმომქმედნი მიიმალენ.

— რა დაემართა მშვიდ, წყნარ თავლებს? რას, ვის ეძებს? რათ არ ჩერდება იგი ჩემზე მანათობლათ. რათ არ კითხულობს ჩემს გულის პასუხს? ყურადღება გაფანტული აქვს... მე მოვაბეზრე თავი, თუ ვინმეს ბუჩქებში მიმალულს ეძებს და მისი ხილვის სურვილით ასრიალებს თვალებს?!..

ვენერას ტუჩ-კბილზე ნამალავათ გადაფრანცლიმა ღიმილმა იკითხა:

— იქვე?

— არა! არა! რა უფლება მაქვს! მაგრამ მშურს სხვის თუ მოხედა თვალთა ისარი, სხვას თუ დაუჭროლა სულთა თქმის სიომ, სხვას თუ შეახე ხელი თუნდაც უგრძნობლათ, შემთხვევით.

ვენერა პასუხს არ იძლეოდა.

—არ არის ვენერა! არ არის ღმერთი ვენერა! ჩემივე გამოგონილი ზღაპარია! არის მხოლოდ ქანდაკება.—ყვიროდა და ჰკიოდა მოქანდაკეს გული და თავის ხვაშიადს მოქანდაკე გულშივე იკლავდა.

ბრბო კი ფიქრობდა და ლაპარაკობდა აუღელვებლათ, დინჯათ:

— ვენერა არის: მან შექმნა მგოსნები, მოქანდაკენი, ბრძენნი და მომღეროანნი... ოღონდ შეყვარება არ შეიძლება. სიყვარული მოქანდაკემ გამოიგონა; ბუნებაში არ არსებული ცნება გამოიგონა მოქანდაკემ.

როცა მოქანდაკე ასეთს სიტყვებს გაიგონებდა, გულში ამბობდა:

ვენერა! წარსული ნეტარება უკვდავ და ხელუხლებელ გყოფს... ვენერა! აწყოო ტანჯვა მოდამ თვალწინ გასახვეს.

ვენერა! მთელი ცხოვრებისთვის გიგალობ „ოსანნა მაღალთა შინას“.

ს. გ—ძე.

დაბა-სოფელი.

ლ. სარხერე (შორაპნის მაზრა). ბ. მკითხველებს ეხსოვრებათ, რომ გაზეთ „იმერეთი„ს № 73-ე №-ში მოთავსებული იყო ლ. სარხერიდან კორესპონდენცია, რომელშიაც იყო მოხსენებული, რომ სარხერეში არსებული სამოქალაქო სასწავლებლის დამქარავებელმა კომიტეტის წევრებმა ადგილობრივ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეობიდან დაისხსნა 300 მანეთი და გაისტუმრა სახლის ქირის ფულიო. ახლა სამკითხველოს გამგეობა ფულსა სთხოვს კომიტეტის წევრებს და, რადგან ვეჩრები არას აძლევენ, ამიტომ საგონებელში არიან ჩვენარნერიო“. დღეს კი, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, სამკითხველოს გამგეობას თურმე ვექსილი ჩამოურთმევია კომიტეტის წევრებისათვის და აღუთქვამს, რომ ამ ვექსილს გადაილისტებით და ხალხს ვუჩვენებთ, იქნება მაშინ მიიცე შეგიბრალონ და მოგაცენ რამეო, მაგრამ ეს ასე არ შესრულებულა: სამკითხველოს გამგეობას ჩაუგდია რა ხელში ვექსილი, ისიც პირველმოთხოვნილებას ვაღით დაწერილი, აუღია და გაულისტებია 10 ივნისს და უკვე წარუდგენიათ განაჩენის ფურცელი, ვითხანაც ჯერარს, ასასრულებლათ, რომელსაც უწყებით უცნობებია კომიტეტის წევრებისათვის, რომ, უკეთუ სურვილით არ მისცემენ ამ მოკლე ხანში 300 მანეთს ეს პირები, იმ შემთხვევაში მათ სავაჭრო დუქნებში, რაც საქონელი იქნება აიწერება და საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სამკითხველოს გამგეობის ფულების დასაკმაყოფილებლათო. წინანდელ საგონებელზე ახლა უფრო დიდი საგონებელი აქვთ ამ საკითხვებს.

ნუთუ სარხერის მოვაჭრეები ასე გულგრილათ უნდა უყურებდენ ამ მოვლენას და არ ცდილობდენ შეერთებული წვლილის გამოღებით განაადგურონ ეს ვალი და თავიდან აიშორონ ამ ოთხ პირს, კომიტეტის წევრებს, ამ ფულის გადახდამ? თუმცა, სამწუხაროთ, მოიძებნებიან ისეთი პირები მათ შორის, რომელნიც გაიძახიან—სკოლა და სამკითხველო რათ გვინდაო—მაგრამ არა გვგონია, რომ არ იყვენ მათ შორის ისეთებიც, რომელნიც საღის გონებითა და თანაგრძნობით უყურებენ ასეთ კულტურულ დაწესებულებებს, და იმედია, რომ ამ საკითხს სასურველათ გადასწყვეტენ და საქმეს კეთილათ დაბოლოვებენ.

მოდი მნახე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი ცნობების საშუალებით უდრმესი მადლობა გამოვუცხადო, ვინც კეთილ ანება და მოსცეთ ქომაგობულ ინსტიტუტთან არსებულ ბავშვის სახელობის სამკენიერო წრის სასარგებლოთ 4 თვნისს თეატრს „რადეგმეში“ კამერულ კონცერტი-გრაფულ სხანსებზე დაესწრო, ას რამე შემოსწირა, დიდ მადლობის ვეძღვნი ბ.ბ. ბვალდ სტეფანეს ძეს შეფინაშვილს და ტარონ ალექსის ძეს ასათიანს კარგი სურათების დამთმობისათვის და სხვადასხვა რჩევის მოგეთხათვის. ქ.ქ. თამარ ჩხეიძის ასულს, ნუცა ცაგარელის ასულს, მარიამ ფხაკაძის ასულს, ნინო ბოკერაის ასულს, სონია გვარამაძის ასულს, სოფიკო ნიკოლაძის ასულს, თამარ ბოკერაის ასულს და ბევრს სხ. რომელთაც შეუდარებელი შრომით ხელი შეეგეწყო. აგრეთვე ამ პატივცემულ სტუდენტებს, ვინც რაიმე დახმარება ამოგვიჩინა.

ანგარიში:
შემოწირულობა 18 მან. და 56 კაპ.
იაღეთების გაყიდვისგან 275 მან. და 90 კაპ. სულ 294 მან. და 46 კაპ.
ხარჯები:
„რადეგმის“ ქირა 120 მან., მუსიკა 15 მან., მარკები 19 მან. 73 კაპ., სხვადასხვა „რადეგმის“ მსახურებზედ 4 მან., ჩვენი ხარჯები 10 მან., სულ 168 მან. 73 კაპ., წმინდა შემოსავალი იყო 125 მან. 73 კაპ.
პატივისცემით სამეცნიერო წრის კამეგობის წევრი კოწია ქუთათელაძე.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჯელაძე.

დაიწყო ხელის მოწერა
ჯაჯუ ჯორჯიკიას
თხზულების პირველ ტომზე. წიგნში იქნება სამასი გვერდი და დეერთობა კიტა აბაშიძისა და მ. წულუკიძის კრიტიკული წერილები.
წიგნი ეღირება ხელის მოწერით 50 კ. ხელის მოწერა პირველ ავგისტომდე გაგრძელება წიგნი ხელის მომწერით ეკუნისთვეში დაურიგდებათ. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება დაფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით „ჩვენი ერის“ რედაქცია სტრ. გერსამისა და გიგალობაუკეს.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში მთავრობილის, ოსპიტლის და გიმნაზიების წიგნის მაღაზიებში, ტფილის გაზეთების კანტორა იმერეთში ის. კვინპარიძესთან დაეთი ავალიანთან ილიკო მესხთან, ილიკო ნიკარძესთან, დიმიტრი ოყროპიძესთან, პ. ბოყვარისთან ლ. ლილუასთან, გ. შავდათასთან, წინა ლეკეთ შეილის ასულთან, ეკრესავის ქალთან და სხვებთან.
თფილისში სახალხო გაზეთის და თვით რედაქციებში. ბაქოში აქის ივანე ელიაშვილთან თელავში ივანე პატარაშვილთან სიღნაღში კახეთის ხმის რედაქციაში ჯიპათურაში პლატონ ლეკვეისთან ყვირილაში კიკნელიძის წიგნის მაღაზიაში აბასთუმანი ნიკ. აბესაძესთან წალვერში ალ. სირკაიძესთან ხორაგაულში ფოტაში კ. ჯაფარიძესთან მარელისში მასწ. მ. დეკანოსიძესთან ოზურგეთში მასწ. ს. ლაბაძიძესთან სამტრედიაში ის. სტურუასთან ახალ—სენაკში ელადიმერ კვანტელიანთან და სამკითხველოში ლორთქიფანიძესთან ფოთში მიხა ესაკიასთან და კოსტა თელიასთან ლანჩხუთში შოთა ვადაკორიასთან, ოზურგეთში გიორგი მემსოძესთან ჩოხატაურში გრ. თავდგირიძესთან ახალციხე შუხუთში ჩიბაძესთან და ლესხინ ფირშტიძე ტქვიშე ორაგველიძესთან ბათომში ს. მდივანთან, ვანთიაღის წიგნის მაღაზიაში და ბათომის გაზეთის რედაქციაში ონამჩირეში თვალიელ ხუციძესთან ნოსირში მომმარგებელ საზოგადოებაში ხიბში პროფიზორ ოგანეზოვთან წინამძღვრიან კარში წესტორ ძიძიგურთან ონში ილია გოგიასთან ალპანაში სამსონ ფრუიძესთან ზუგდიდში იოსებ გოგიასთან ხონში კესარია მებუკეს ასულთან ბ. ქელიძესთან და მ. ჯავახიძესთან ხოხუმში პლატონ გელოვანთან ბანძაში ესტატე მონიავასთან განჯაში ტროფიმ თამუაშვილთან ნოღალეველში აქესტრი ფარულოვასთან ნახუნავოში ბიკალო ფალავანთან მაღლაკში ელენე ნიკარაძის მეულესთან ამალეთში მარიამ ჩიქვაძესთან მაღდათში გ. ახალეთელთან მათხოჯში ლავ. ძიძიგურთან კავკავში იასონ ლორთქიფანიძესთან სადმელში, პრეპალეში, სურამში, კურსებში, გორში, ბორჯომში ხერკში და სიმონეთში სამკითხველოში. ქუთაისის გუბერნიის სხვა დასხვა სოფლებსა და დაბაში მქლიტონ დოლაბერიძესთან. გურიასა, რაჭასა და საგარეკო ადგილებში გეყოლება მოსაიარელი აგენტი.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით

ამავე კურსებთან იხსნება საშუალო სასწავლებლების ყველა კლასის უმაღლესი სპეციალური სასწავლებლებისა, და განსაკუთრებით, მიწისმზომლობისა, სამხედრო სასწავლებლებისა და სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის მოსამზადებელი კურსები. ამის შესახებ პირადათ დაკითხვა შეიძლება კურსების კანცელარიაში. დილის 9—12-მდე და საღ. 8—9 საათამდე.

მისამართი: თფილისი, ბეშკინის ქუჩა, № 8 ტელ. 10—30.

სახლის პატრონთა საყურადღებოთ.

წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის სალებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალირს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში სალებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს სალებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს სულაც არა! სალებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ

ძმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი სალებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორიაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.



ქ. ქუთაისში. (საკ. ტაძართან).

ა. თაბაგარის მაღაზიაში.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

ფასები ძლიერ დაკლებულია.

ვყიდით ნისიათაც, თვიური შემოტანით.